საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წელი: მიღწევები და წარუმატებლობები დემოკრატიზაციისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე

გივი სილაგაძე *

ნინო აბზიანიძე **

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური მოვლენებისა და პროცესების გამოკვეთას და იმის განსაზღვრას, თუ რა დინამიკა შეინიშნება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე. ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და 44 ექსპერტის გამოკითხვის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით წარმატებულად უნდა ჩაითვალოს საგარეო პოლიტიკის სფერო. ასევე, მეტ-ნაკლები წარმატებები იყო სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობის თვალსაზრისითაც, თუმცა ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში გარკვეული არასახარბიელო გაუარესების ტენდენციებიც შეინიშნება. გარკვეული პროგრესი აღინიშნება დემოკრატიული განვითარების მხრივაც, თუმცა არაერთი მწვავე პრობლემაც რჩება. მაგალითად, სიტუაცია ნაკლებად უმჯობესდება ისეთ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა

---

* პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

სასამართლოს დამოუკიდებლობა, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთდაბალანსების პრინციპი. დაბოლოს, ყველაზე ნაკლებად წარმატებული სფეროებია უსაფრთხოება და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მიღწევები და წარუმატებლობები, დემოკრატიული განვითარება, სახელმწიფო მშენებლობა.

შესავალი

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს ეხებოდა, მონაწილეობა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 91%-მა მიიღო, რომელთა 99%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე (საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი 2016). სამოქალაქო მობილიზაციისა და ერთიანობის გამოვლინების ამ უპრეცედენტო აქტიდან 30 წლის გასვლის შემდეგ, ქართული საზოგადოება და, განსაკუთრებით, პოლიტიკური სპექტრი ღრმად პოლარიზებულია, პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთს ქვეყნის მტრად წარმოაჩენენ და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გარეშე, ერთმანეთთან კონსტრუქციული საუბარიც კი უჭირთ, ხოლო საჯარო დისკურსი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ნაცვლად, განგრძობითი პოლიტიკური კრიზისის გარშემო ტრიალებს. ამ 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში მოხდა არაერთი შიდა თუ გარე კონფლიქტი, კონსტიტუციის მიღება და რამდენიმე კონსტიტუციური რეფორმა, რევოლუცია, არჩევნების საშუალებით ხელისუფლების შეცვლა და სახელმწიფო ინსტიტუციების არაერთი რეფორმა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლისთავის აღსანიშნავად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა განვლილი სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური მოვლენებისა და პროცესების გამოკვეთა და იმის განსაზღვრა, თუ რომელი მათგანი შეიძლება შეფასდეს მიღწევად ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე და რომელი - უკან გადადგმულ ნაბიჯად.

კვლევა ინდუქციურ მეთოდს ეყრდნობა და სამ ფაზას მოიცავდა; პირველ ეტაპზე, ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, რომლის შედეგადაც შეიქმნა სტრუქტურირებული კითხვარი იმ მნიშვნელოვანი მოვლენების, პროცესებისა და საკითხების შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში დემოკრატიზაციისა და სახელმწიფო მშენებლობის პროცესზე. მეორე ეტაპზე, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე შეირჩნენ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები, რომელთა გამოკითხვაც სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით ჩატარდა (ჯამში 44 ექსპერტი). დასკვნით ეტაპზე, განხორციელდა შეგროვებული მონაცემების ანალიზი, მიგნებების ტრიანგულაცია უკვე არსებული კვლევების თუ ანგარიშების საშუალებით და კვლევითი ანგარიშის დაწერა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საკვანძო ცნებები ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. დემოკრატიზაციის სამი ძირითადი გაგებიდან - არადემოკრატიული რეჟიმის დემოკრატიად გარდაქმნა, არსებულ რეჟიმში დემოკრატიული პრაქტიკის გაღრმავების პროცესი და დემოკრატიული ინსტიტუციების შენარჩუნება (Welzel 2009) - ანგარიში სამივეს ეყრდნობა. არანაკლებ ფართოდ არის გაგებული სახელმწიფო მშენებლობის ცნებაც, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე პოლიტიკური ძალაუფლების ჩამოყალიბების და ამ ძალაუფლების განხორციელების-

თვის საჭირო ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუციების შექმნის პროცესი (Jessop 2006).

კვლევითი ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: პირველ რიგში, მიმოხილულია ის პროცედურები, რომელთა დაცვა და პრაქტიკაში განხორციელება დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს (პროცედურული დემოკრატია). შემდგომ, ანგარიშში წარმოდგენილია ექსპერტთა შეფასებების ანალიზი დემოკრატიული მმართველობისთვის არანაკლებ აუცილებელ კომპონენტთან დაკავშირებით - ადამიანის ინდივიდუალური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები. მესამე ნაწილი ეხება ძირითად სახელმწიფო ინსტიტუციების შექმნასთან და მათ გამართულად მუშაობასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და პროცესებს. მეოთხე ნაწილში ასახულია საგარეო პოლიტიკასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც მოსდევს სოციალ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზი. კვლევის შედეგების შემაჯამებელი დისკუსია და ჩატარებული კვლევის შეზღუდვები განხილულია დასკვნით ნაწილში.

ანგარიშის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ, კვლევის ფართო მიზნებიდან გამომდინარე, მასში ვერ მოხვდა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა და საკითხი. თუმცა, მოვლენებისა და პროცესების იდენტიფიცირება მოხდა ფოკუს ჯგუფის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ისეთმა პირებმა, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ 30 წლის მანძილზე ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებთან (როგორც აკადემიური, ისე არააკადემიური). აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანგარიშის მიღმა იმდენი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ პროცესი დარჩა, რომლებსაც მიგნებებზე დიამეტრული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

მეთოდოლოგია

მონაცემთა შეგროვებისთვის კვლევაში გამოყენებული იყო ფოკუს ჯგუფისა და ექსპერტთა გამოკითხვის მეთოდი. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი (24 სექტემბერი, 2020), რომლის მიზანი იყო იმ მოვლენებისა და პროცესების იდენტიფიცირება/გამოკვეთა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში დემოკრატიზაციის და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები წარმოადგენდნენ ჟურნალისტებს, ისტორიკოსებსა და იურისტ-კონსტიტუციონალისტებს, რომელთაც პრაქტიკული ან აკადემიური შეხება ჰქონდათ ზემოხსენებულ მნიშვნელოვან მოვლენებთან და პროცესებთან. ფოკუს ჯგუფის საშუალებით შეგროვებული მონაცემების ანალიზის შედეგად, კვლევის ავტორებმა სტრუქტურირებული კითხვარი შეადგინეს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, ჩატარდა ექსპერტთა გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობა 44 ექსპერტმა მიიღო, რომელთაგან 35 იყო ქართველი, ხოლო ცხრა - უცხოელი. ექსპერტები წარმოადგენდნენ აკადემიურ სფეროს, კვლევით ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას. კითხვარი ხუთი თემატური ნაწილისგან შედგებოდა: (1) პროცედურული დემოკრატია, (2) ადამიანის უფლებები, (3) სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბება, (4) უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა და (5) სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. თითოეულ ამ ნაწილში ჩამოთვლილი იყო კონკრეტული მოვლენები ან პროცესები, რომლებიც 1-დან 10-მდე სკალაზე შეფასდა (1 გულისხმობდა სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - სრულ წარმატებას). კონკრეტული მოვლენების გარდა, კითხვარი მოიცავდა ზოგადი ხასიათის შეკითხვებს სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით, რომლებიც ზემოხსენებულ სკალაზე თითოეულ ათწლეულში ცალ-ცალკე შეფასდა ექსპერტების მიერ.

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზისას გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკური მეთოდი. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ მონაცემების ანალიზის პარალელურად, კვლევის ავტორებმა მოახდინეს მიგნებების ტრიანგულაცია არსებული კვლევების, ანგარიშების თუ ინდექსების საშუალებით.

ანგარიშში, ძირითადად, წარმოდგენილია ექსპერტთა შეფასებების განაწილების საშუალო მაჩვენებლები და სტანდარტული გადახრა (+/- ერთი სტანდარტული გადახრა). საშუალო მაჩვენებელი ცენტრალური ტენდენციის ერთ-ერთი საზომია, რომელიც, მოცემული კვლევის შემთხვევაში, ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის აზრს. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას, იგი წარმოდგენას გვიქმნის რამდენად გაბნეულია მონაცემები ჯგუფში კონკრეტულ კითხვასთან დაკავშირებით (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო გაბნეულია მონაცემები საშუალო მაჩვენებლიდან). სხვა სიტყვებით, რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრის მაჩვენებლები, მით მეტია აზრთა სხვადასხვაობა ექსპერტებს შორის.

1.პროცედურული დემოკრატია

დემოკრატიისთვის არასაკმარისია მხოლოდ რეგულარული და თავისუფალი არჩევნები და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ხმის მიცემის უფლებით უზრუნველყოფა. დემოკრატიის არსებობისთვის აუცილებელია მთელი რიგი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობას, პოლიტიკურ თანასწორობას, პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და მოქალაქეებისთვის ხელისუფლების დღის წესრიგზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებებს (Dahl 1971; Dahl 2003). ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ძალაუფლების შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექა-

ნიზმი, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრინციპში ვლიდენება (Rose 2006).

წინამდებარე სექციაში წარმოდგენილია მოვლენები, საკითხები და პროცესები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხდა და მნიშვნელოვანი (დადებითი ან უარყოფითი) გავლენა იქონია ქვეყანაში პროცედურული დემოკრატიის განვითარებაზე.

1.1.პროცედურულ დემოკრატიასთან დაკავშირებული მოვლენები

პროცედურული დემოკრატიის თვალსაზრისით, საქართველოს 30-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ცალსახა წარმატებად არის შეფასებული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება, 1995 წლის კონსტიტუციის მიღება და 2024 წლიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება (დიაგრამა 1). 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარების პრეცედენტი ექსპერტებმა საშუალოდ 8.7 ქულით შეაფასეს 1-დან 10-მდე სკალაზე, სადაც 1 სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას გულისხმობდა. ასევე, ამ მოვლენის შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტებს შორის მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არ დაფიქსირებულა (სტანდარტული გადახრა 1.27). ექსპერტებმა არანაკლებ დადებითად შეაფასეს 1995 წელს კონსტიტუციის მიღება, რომელიც ექსპერტებმა საშუალოდ 8.5 ქულით შეაფასეს. საშუალოდ 8 ქულით არის შეფასებული 2024 წლიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება, რომელიც 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილების ფარგლებში გაიწერა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების და 1995 წლის კონსტიტუციის მიღებისგან განსხვავებით, პირდაპირი

კავშირი საარჩევნო სისტემის ცვლილებასა და პროცედურულ დემოკრატიას შორის, თეორიულად, ნაკლებად არსებობს. თუმცა, ექსპერტების მიერ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილების მიღწევად შეფასება, შესაძლებელია, განპირობებული იყოს კონფრონტაციული ბიპოლარული პარტიული სისტემით, რომელიც საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დამკვიდრდა. სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა მეტად უწყობს ხელს სხვა, შედარებით მცირე პოლიტიკური პარტიების საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობას, რაც ართულებს ორპოლუსიანი პოლიტიკური ლანდშაფტის შენარჩუნებას (Reynolds, Reilly, and Ellis 2008).

***დიაგრამა 1**: პროცედურული დემოკრატია - მოვლენათა შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა მოვლენები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც

უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით).

ექსპერტების მიხედვით, უფრო მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე წარუმატებლობად, 2008 წლის პლებისციტი ნატოში გაწევრიანების შესახებ, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები და 2018 წლიდან სრულად საპარლამენტო მოწყობის სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება. 2008 წლის პლებისციტი სხვადასხვა კუთხით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, თუმცა პროცედურული დემოკრატიის თვალსაზრისით, ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც პირდაპირი დემოკრატიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს, სადაც საქართველოს 1,982,318-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, რომელთა 77%-მა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი (ცესკო 2008). 2010 და 2017-18 წლების საკონსტიტუციო ცვლილებებით შეიკვეცა პრეზიდენტის ინსტიტუტის უფლება-მოვალეობები და აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება გაიზარდა საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, რამაც, საბოლოო ჯამში, საქართველო სრულად საპარლამენტო რესპუბლიკა აქცია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ 2010 და 2017-18 წლების საკონსტიტუციო ცვლილებები არ არის ცალსახად წარმატებად შეფასებული. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს რიგი პრობლემური საკითხებისა, რაც თან ახლდა კონსტიტუციურ რეფორმებს. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა ისაა, რომ კვლავაც პრობლემად დარჩა კონსტიტუციის სახელისუფლებო ინტერესებისთვის ინსტრუმენტალიზაცია (ნოდია და აფრასიძე 2013). არანაკლები აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა 2017 წლის კონსტიტუციურ ცვლილებას, რომელიც მმართველმა პარტიამ ოპოზიციის და პრეზიდენტის წინააღმდეგობის მიუხედავად მიიღო (Civil.ge 2017).

მეორე მხრივ, ექსპერტების აზრით, ცალსახად უარყოფითი გავლენა ჰქონდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ და დემოკრატიულ

განვითარებაზე 1990-იან წლების პირველ ნახევარში სამხედრო საბჭოს მმართველობას. გამოკითხულ ექსპერტებში, პრაქტიკულად, კონსენსუსია იმასთან დაკავშრებით, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში სამხედრო საბჭოს მმართველობა სრული წარუმატებლობა იყო ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სახელმწიფო მშენებლობის გზაზე (საშუალო შეფასება 2.0 ქულა).

წარუმატებლობად არის შეფასებული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და მის შემდგომ განვითარებული მოვლენებიც. ექსპერტებმა ეს საკითხი საშუალოდ 3.5 ქულით შეაფასეს, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც შეინიშნებოდა (სტანდარტული გადახრა 1.85). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ორი გარემოება არის მნიშვნელოვანი: ექსპერტთა გამოკითხვა 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში მიმდინარეობდა, რაც გულისხმობს, რომ ექსპერტთა შეფასებები 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს გამართულ არჩევნებთან და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სიფრთხილით უნდა იქნას ინტერპრეტირებული, რადგან გამოკითხვის დროს არც საკმარისი დრო იყო გასული იმისთვის, რომ ერთმნიშვნელოვნად შეფასებულიყო აღნიშნული პროცესი და ვერც ვითარებას ასახავს სრულად, რადგან ექპერტთა მიერ კითხვარის შევსების შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რაც, სავარაუდოდ, ექსპერტთა შეფასებაზე ზეგავლენას მოახდენდა.

ექსპერტთა შეფასებები არაერთგვაროვანია 1992 წლის მრავალპარტიული პარლამენტის, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და 2024 წლიდან პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის გადაწყვეტილების შესახებ. ჩატარებული ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელია აღნიშნული მოვლენების ან მიღწევად ან წარუმატებლობად შეფასება.

1.2. მნიშვნელოვანი ტენდენციები 30 წლის მანძილზე

პროცედურულ დემოკრატიასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების და ტენდენციების უმეტესობა ექპერტებმა წარუმატებლობად უფრო შეაფასეს, ვიდრე მიღწევად (დიაგრამა 2). დამოუკიდებლობის სამივე ათწლეულში წარუმატებლობად მიიჩნევა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნის ხარისხი, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრაქტიკა, დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის ხარისხი, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და ძალაუფლების დანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ძალაუფლების კონცენტრაციის მიზნით და მმართველი პარტიის და სახელმწიფოს გამიჯვნის ხარისხი.

ექსპერტთა შეფასებების მიხედვით, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არც გაუმჯობესების და არც გაუარესების დინამიკა არ შეინიშნება შემდეგი მიმართულებებით: ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და ძალაუფლების დანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ძალაუფლების კონცენტრაციის მიზნით და მმართველი პარტიის და სახელმწიფოს გამიჯვნის ხარისხი. ოთხივე საკითხმა თითოეულ ათწლეულში ექსპერტებისგან 4-ზე დაბალი საშუალო შეფასება დაიმსახურა.

1991-2000 წლებთან შედარებით მცირე გაუმჯობესება არის მომდევნო ათწლეულებში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრაქტიკის, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის ხარისხის თვალსაზრისით. თუმცა, ექსპერტთა შეფასებების საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა ძალიან მცირეა, რაც არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას. ასევე, 1990-იან წლებთან სხვაობის მიუხედავად, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების საკითხი, დეცენტრალიზაციისა და თვითმმარ-

თველობის ხარისხი როგორც 2000-იან, ასევე 2010-იან წლებში მაინც წარუმატებელ საკითხად უფრო რჩება, ვიდრე წარმატებად.

***დიაგრამა 2**: პროცედურული დემოკრატია - ათწლეულების შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა საკითხები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ ათწლეულში 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ათწლეულში).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაუარესების ტენდენ-ცია შეინიშნება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნის თვალსაზრისით. თუ 1991-2000 წლებში ეს საკითხი ექსპერტებმა საშუალოდ 4.8 ქულით შეაფასეს (1 - სრული წარუმატებლობა, 10 - მიღწევა), 2011-2020 წლებში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნის ხარისხი საშუალოდ 3.7 ქულით შეფასდა. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებებს შორის სხვაობა მცირეა და არ იძლევა მტკიცე დასკვნების გამოტანის საშუალებას, აღნიშნული უარყოფითი ტენ-

დეცია ნიშანდობლივია და, როგორც მინიმუმ, შემდეგ კვლევას საჭიროებს.

სხვა სფეროებთან შედარებით, მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი და პლურალისტული მედია გარემო უფრო წარმატებად მიიჩნევა, ვიდრე წარუმატებლობად. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მედია გარემო 2001-2010 წლებში, 1990-იანებთან და 2010-იანებთან შედარებით, გაუარესებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მედია გარემო პოლარიზებულია (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2020) და ძირითადი ტელევიზიების უმრავლესობა პოლიტიკურ მიკერძოებული (NDI საქართველო 2020) მედიის დამოუკიდებლობა და პლურალისტული მედია გარემო, როგორც ჩანს, უფრო მიღწევად მიიჩნევა ქვეყნის დემოკრატიზაციის და სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ვიდრე წარუმატებლობად.

2.ადამიანის უფლებები

დემოკრატია და ადამიანის უფლებები განუყოფელია. წინამდებარე სექციაში მიმოხილულია ექსპერტთა შეფასებები იმ მოვლენების და პროცესების შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის განვითარების ტრაექტორიაზე ადამიანის უფლებების თვალსაზრისით. კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პოლიტიკური უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებებზე.

2.1. მნიშვნელოვან მოვლენათა და საკითხთა შეფასება

ერთმნიშვნელოვნად მიღწევად არის შეფასებული სიკვდილით დასჯის გაუქმება. ექსპერტებმა საშუალოდ 9.5 ქულით შეაფასეს სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომელიც ევროპის საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო საქართველოს მიმართ (Civil.ge 2003).

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით წარმატებულ ნაბიჯად შეფასდა პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელიც ექსპერტებმა საშუალოდ 8.1 ქულით შეაფასეს. ეს

კანონი 2014 წელს შევიდა ძალაში და წინ გადადგმული ნაბიჯად მიიჩნევა ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2014).

დიაგრამა 3: *ადამიანის უფლებები - მოვლენათა შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა მოვლენები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით).

ცალსახად წარუმატებლობად არის შეფასებული ხელისუფ-ლების რეაგირება ისეთ დემონსტრაციებზე, როგორიც იყო 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20-21 ივნი-სის ანტისამთავრობო საპროტესტო ტალღები. ასევე, ადამიანის უფ-ლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ჩავარდნად შეფას-და 2013 წლის 17 მაისს (ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფო-ბიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს) გამართული აქციის სა-პასუხოდ საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მხრიდან გამოხა-ტული რეაქცია/კონტრაქცია, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ზემოხსენებული დემონსტრაციები და ხელისუფ-

ლების რეაგირება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კითხვის ნიშნებს აჩენს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედია და გაწერილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (Amnesty International 2017). ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს წინასწარი ნებართვის და უიარაღოდ შეკრების უფლება, ხოლო ხელისუფლებას შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21).

ექსპერტთა შეფასებების მიხედვით, უფრო წარმატებად უნდა შეფასდეს, ვიდრე წარუმატებლობად, 2000-იან წლებში კრიმინალთან ბრძოლა და ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა. როგორც სხვადასხვა კვლევაშია აღნიშნული, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას თან სდევდა ადამიანის უფლებების არაერთი დარღვევა (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი და გობრონიძე 2014). მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს ეს მოვლენა ადამიანის უფლებათა ჭრილში უნდა შეეფასებინათ, სავარაუდოდ, მათ ის სხვა სოციალური ეფექტებიც გაითვალისწინეს, რაც „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას მოჰყვა (მაგ. ორგანიზებული დანაშაულის და კრიმინალის შემცირება).

2.2.ათწლეულების დინამიკა ადამიანის უფლებების ჭრილში

პროცედურულ დემოკრატიასთან დაკავშირებული საკითხებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, დროის გასვლასთან ერთად, უმჯობესდება. თუმცა, დადებითი დინამიკის მიუხედავად, ადამიანის უფლებები მაინც პრობლემად რჩება დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის გასვლის შემდეგ.

ხელისუფლების მიერ სიტყვის, გამოხატვის და შეკრების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა, ხელისუფლების დამოკი-

დებულება კერძო საკუთრების უფლებისა და ბიზნესის მიმართ, ძალოვანი უწყებების მიერ ადამიანის უფლებების ხელყოფა და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი პენიტენციურ სისტემაში უფრო პოზიტიურად შეაფასეს ექსპერტებმა 2011-2020 წლებში, ვიდრე 2001-2010 და 1991-2000 წლებში.

გაუმჯობესების დინამიკის მიუხედავად, სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით მდგომარეობა საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე ვერ შეფასდება წარმატებულად. ექსპერტებმა ხელისუფლების მიერ სიტყვის, გამოხატვის და შეკრების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა 2011-2020 წლებში შეაფასეს საშუალოდ 6.2 ქულით, ხელისუფლების დამოკიდებულება კერძო საკუთრების უფლებისა და ბიზნესის მიმართ - 5.1 ქულით, ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი პენიტენციურ სისტემაში - 5 ქულით, ხოლო ძალოვანი უწყებების მიერ ადამიანის უფლებების ხელყოფის პრაქტიკა - 4.7 ქულით.

მსგავს ტენდენციაზე მეტყველებს არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House-ის ქულები. ეს ორგანიზაცია საქართველოში 1991-წლიდან დღემდე ყოველწლიურად აფასებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით. Freedom House-ის მიხედვით, დროის გასვლასთან ერთად, საქართველოში სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ისიც ნათელია, რომ დღევანდელი მდგომარეობა კვლავ პრობლემური რჩება (დიაგრამა 5).

დიაგრამა 4: *ადამიანის უფლებები - ათწლეულების შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა საკითხები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ ათწლეულში 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ათწლეულში).

დიაგრამა 5*: Freedom House-ის ქულები საქართველოში სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ*



შენიშვნა: სამოქალაქო თავისუფლებები იზომება 1-დან 7-მდე სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს ყველაზე კარგს, ხოლო 7 - ყველაზე ცუდ ქულას.

წყარო: Freedom House. ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/report/freedom-world

3.სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბება

3.1.სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასება

გამართული სახელმწიფო აპარატი და ინსტიტუციების ეფექტური მუშაობა სახელმწიფოს მშენებლობის წარმატების საბაზისო საჭიროებაა. ამ თვალსაზრისით, გამოკითხული ექსპერტები თანხმდებიან, რომ ვარდების რევოლუცია და მის შედეგად განხორციელებული პოლიციის რეფორმა, ისევე როგორც სხვა სფეროებში დაწყებული რადიკალური რეფორმები სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობის გზაზე ცალსახად წარმატებად უნდა შეფასდეს. ხოლო, ისეთი მოვლენები როგორიც არის 1990-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო გადატრიალება და სამთავრობო ინსტიტუციებზე არაფორმალური გავლენის ზრდა 2010-იან წლებში, შეფასებულია როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური მშენებლობის პროცესში უკან გადადგმული ნაბიჯები (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6: სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება - მოვლენათა შეფასება



შენიშვნა: ექსპერტებმა მოვლენები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობააღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით).

კერძოდ, 1-დან 10-მდე შკალაზე, სადაც 1 წარუმატებლობას, ხოლო, 10 წარმატებას აღნიშნავს, ექსპერტები საშუალოდ 8.6 ქულით აფასებენ ვარდების რევოლუციას. რევოლუციის შედეგად განხორციელებულ პოლიციის რეფორმას კი - 8.7 ქულით. აღსანიშნავია, რომ სტანდარტული გადახრის მაჩვენებლების მიხედვით (ვარდების რევოლუცია - 1.42 და პოლიციის რეფორმა - 1.24), ამ მიმართულებით ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა, შეიძლება ითქვას, რომ არ იკვეთება. საშუალოდ 8.5 ქულით აფასებენ ექსპერტები 2004-2007 წლებში მასობრივ კორუფციასთან გამოცხადებულ ბრძოლას, რითაც თანხმდებიან, რომ აღნიშნული პროცესი წარმატებული ნაბიჯი იყო სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მსგავსი ტენდენცია იკვეთება, ასევე, ვარდების რევოლუციის შემდგომ წლებში მიმდინარე რადიკალური რეფორმების შეფასებისას. იმის

მიუხედავად, რომ სწრაფი და რადიკალური რეფორმები ხშირად, შესაძლოა, გარკვეული ჯგუფებისთვის მტკივნეულად წარიმართოს და შედეგად მოჰყვეს ე.წ. „წაგებულების“ არსებობა (Hellman 1998), სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით ექსპერტები ამ პროცესს მაინც წარმატებად აფასებენ, საშუალო ქულით 8.0. გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რევოლუციის შედეგად განხორციელებული იუსტიციის სისტემის რეფორმის წარმატებულობა, რომელსაც ექსპერტები საშუალოდ 7.0 ქულით აფასებენ (სტანდარტული გადახრა 2.32).

სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობის პროცესში შედარებით წარმატებულ ნაბიჯად - საშუალოდ 8.1 ქულად - არის შეფასებული 1996 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს „კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულებას, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელებას, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებას.“[1]

სახელმწიფო აპარატისა და ინსტიტუციების ეფექტური ფუნქციონირებისთვის დამაზიანებლად - საშუალოდ 3 ქულით - აფასებენ ექსპერტები 2013 წლიდან, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, გაჩენილ არაფორმალური მმართველობის ნიშნებს. აღნიშნული შეფასება თანხვედრაში მოდის არა მხოლოდ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვასთან (ფონდი ღია საზოგადოება საქარ-

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.constcourt.ge/ka/court/about-the-court

თველო 2019), არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებთან.[2]

ამ მიმართულებით ყველაზე დიდ წარუმატებლობად და უკან დახევად კი ექსპერტები 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებას აფასებენ, როდესაც ეროვნული ხელისუფლების დამხობის შედეგად ე.წ. სამხედრო საბჭომ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. აღნიშნულ მოვლენას ექსპერტები 10-დან საშუალოდ 1.7 ქულით აფასებენ და ამ შეფასებაში საკმაოდ ერთსულოვანნი არიან (სტანდარტული გადახდა 1.17).

3.2. სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობის განმსაზღვრელი ორი ფაქტორი - 30 წლიანი დინამიკა

სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბების თვალსაზრისით ექსპერტებმა 30 წლიან პერსპექტივაში ათწლეულების მიხედვით ორი საკითხი - კორუფციის ხარისხი და სასამართლო სისტემის განვითარება - შეაფასეს. ამ ორი მიმართულებით დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგაც პრობლემური სურათი იკვეთება (დიაგრამა 8).

კორუფციის ხარისხთან მიმართებაში ქვეყნის პროგრესი ექსპერტებმა 1991-2000 წლებში საშუალოდ მხოლოდ 1.9 ქულით შეაფასეს. შედარებით მაღალია ექსპერტების შეფასება მომდევნო ათწლეულებში - 2001-2010 წლების მაჩვენელი საშუალოდ 6.8 ქულით, ხოლო 2011-2020 წლების მაჩვენებელი საშუალოდ 5.2 ქულით განისაზღვრა. იმის მიუხედავად, რომ 1990-იან წლებთან შედარებით, მომდევნო ორ ათწლეულში კორუფციის ხარისხი შემცირებულად მიიჩნევა, უნდა აღნიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქვეყნის განვითარებას ექსპერტები ზოგად წარმატებად არ აფასებენ. კიდევ უფრო

[2] იხ., მაგალითად Freedom House- ის მიერ 2014-2020 წლებში გამოქვეყნებული ანგარიშები: https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2015

ართულებს სურათს ის ფაქტი, რომ, ექსპერტების შეფასებით, ბოლო წლებში კორუფციის ხარისხის გაზრდის ტენდენცია შეინიშნება.

დიაგრამა 7: *საჯარო სექტორში არსებული კორუფციის ინდექსი V-Dem-ის მონაცემების მიხედვით*



შენიშვნა: Varities of Democracy-ის (V-Dem) პროექტი, ექსპერტთა გამოკითხვის საშუალებით, ზომას ქვეყანაში საჯარო სეტორში არსებულ კორუფციას. ინდექსი 0-დან 4-მდე მერყეობს, სადაც 0 ნიშნავს, რომ საჯარო სექტორში კორუფციული პრაქტიკა ძალიან გავრცელებულია, ხოლო 4 გულისხმობს, რომ ამგვარი პრაქტიკა საჯარო სექტორში საერთოდ არ არის.

წყარო: Varieties of Democracy project. Public sector corrupt exchanges. ხელმისაწვდომია: https://www.v-dem.net/en/analysis/CountryGraph/

მსგავს, თუმცა არა იგივე, ტენდენციაზე მიანიშნებს Varieties of Democracy პროექტის მონაცემები საქართველოში კორუფციის არსებობის შესახებ (დიაგრამა 7). ინდექსის მიხედვით, 1990-იან წლებში საჯარო სექტორში ფართოდ იყო გავრცელებული კორუფცია, რაც რადიკალურად შეიცვალა 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან. ინდექსში ყველაზე მაღალი ქულა საქართველოს 2008-11 წლებში

ჰქონდა, რომლის შემდგომაც მცირედი გაუარესება შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევის შედეგად მიღებული შედეგი უფრო ნეგატიურ სურათს ხატავს, ვიდრე V-Dem-ის ინდექსი.

კიდევ უფრო სავალალოა სურათი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით 30 წლიან პერსპექტივაში. გამოკითხული ექსპერტების შეფასების მიხედვით, ამ პერიოდის განმავლობაში, სასამართლო სისტემის განვითარება ვერცერთ მონაკვეთში ვერ შეფასდება საშუალოდ 4.6 ქულაზე მეტად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამი ათწლეულის განმავლობაში, არ იცვლება დინამიკა. მართალია, 1991-2000 წლებთან შედარებით, შეფასების საშუალო მაჩვენებელი მცირედით იმატებს მომდევნო ორ ათწლეულში, თუმცა, სხვაობა იმდენად მცირეა, რომ არ იძლევა რაიმე ცვლილებებთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში ექსპერტთა შეფასებები სრულ თანხვედრაში მოდის Freedom House-ის ყოველწლიურ ანგარიშებთან. თითოეულ ეს ანგარიში სასამართლო სისტემის განვითარებას ასახელებს საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში ერთ-ერთ ყველაზე არსებით გამოწვევად.[3] 2021 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მიუხედავად მიმდინარე რეფორმებისა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში რჩება არსებით პრობლემად, ისევე, როგორც გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა, რომელიც ამ სისტემას ახასიათებს.“[4]

[3] იხ. Freedom House - ის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოში პოლიტიკური და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/country/georgia

[4] https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020#PR

***დიაგრამა 8**: სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება - ათწლეულების შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა საკითხები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ ათწლეულში 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ათწლეულში).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა შეფასებების შედეგად გამოკვეთილი სახელმწიფოს ინსტიტუციური მშენებლობის ზოგადი სურათი მსგავსია იმ ტენდენციებისა, რომელსაც Polity4 მონაცემები აჩვენებს საქართველოში ეწ. „ინსტიტუციური დემოკრატიის“ განვითარების შესახებ (დიაგრამა 9).[5] POLITY ინდექსი, რომელიც ინსტიტუციური დემოკრატიის ხარისხს ასახავს, იზომება -10 დან 10მდე სკალაზე. ქვეყნები, რომლებიც -5 ქულამდე ექცევიან, მიჩნეულნი არიან სრულად ავტოკრატულად, -5-დან 5 ქულამდე სივრცე მოიცავს ე.წ. ანოკრატიებს (შერეულ რეჟიმებს), ხოლო სახელმწიფოები, რომლებიც 6-დან 10-მდე სივრცეში ექცევიან, მიჩნეულნი

[5] http://www.systemicpeace.org/polityproject.html

არიან დემოკრატიებად.[6] დიაგრამა 9 წარმოადგენს 1991 წლიდან 2018 წლამდე POLITY ინდექსის დინამიკას საქართველოში. დიაგრამაზე რამდენიმე ე.წ. პიკია წარმოდგენილი. კერძოდ, დემოკრატიული ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით ცალსახა ჩავარდნა ჩანს 1992-93 წლებში, მაშინ როდესაც 1995 წლიდან მოყოლებული, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში შედარებით გაუმჯობესებულია მდგომარეობა ამ მიმართულებით. მკვეთრ წინსვლას ვხედავთ 2003 წელს, რაც სწორად ვარდების რევოლუციას უკავშირდება. ამ მონაცემებიდან, ასევე ირკვევა, რომ 2003-2007 წლებში, ანუ, ვარდების რევოლუციის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში, შეფასება სცდება 6 ქულას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ინაცვლებს „ანოკრატიის“ კატეგორიიდან „დემოკრატიის“ კატეგორიაში. 2007-2012 წლებში მდგომარეობა უარესდება, თუმცა, რამდენადაც შეფასების მაჩვენებელი 6-ის ქვემოთ არ ჩამოდის, ქვეყანა რჩება „დემოკრატიის“ კატეგორიაში. 2013 წლიდან მოყოლებული ინსტიტუციური დემოკრატიის ხარისხი POLITY ინდექსის მიხედვით, ისევ უთანაბრდება ვარდების რევოლუციის შემდგომი წლების მაჩვენებელს. POLITY ინდექსი უფრო ფართო სურათს უყურებს, მაშინ როდესაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ექსპერტები კონკრეტულ მოვლენებსა და პროცესებს აფასებენ. ამის მიუხედავად, ზოგადი ტენდენციები მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. Polity ინდექსის მონაცემები ამყარებს ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყველაზე დიდ ჩავარდნად სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიზაციის 30 წლიან გზაზე დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველი ორი წელი შეფასდა, ხოლო ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯებად ვარდების

[6] მეტი ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემთა ბაზის შესახებ იხილეთ აქ: http://www.systemicpeace.org/inscr/p5manualv2018.pdf

რევოლუციის შემდგომ რამდენიმე წელიწადში, სხვადასხვა სფეროში განხორციელებული რეფორმები დასახელდა.

დიაგრამა 9: *საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარების დინამიკა 1991-2018 წლებში POLITY ინდექსის მიხედვით*



შენიშვნა: ინდექსი იზომება -10-დან 10-მდე, სადაც -10-დან -6-ის ჩათვლით ქულა ნიშნავს ავტოკრატიას, -5-დან და 5-ის ჩათვლით ქულა ნიშნავს ანოკრატიას (იგივე შერეულ რეჟიმს), ხოლო 6-დან 10-მდე ქულა გულისხმობს დემოკრატიას.

წყარო: Polity ინდექსი. ხელმისაწვდომია: http://www.systemicpeace.org/polityproject.html

4.უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოს სახელმწიფო მწვავე გამოწვევების წინაშე დადგა როგორც საგარეო პოლიტიკური, ასევე, უსაფრთხოების საკითხების თვალსაზრისით. სახელმწიფოს მშენებლობასა და დემოკრატიზაციაზე არათუ გავლენას ახდენდა, არამედ განსაზღვრავდა ისეთი მოვლენები, როგორიც არის ერთის მხრივ, სეპარატისტულ რეგიონებთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა, შედეგად მიღებული ომები და

სამოქალაქო დაპირისპირებას ცენტრში, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო აღიარების საჭიროება, საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის განსაზღვრა და მისი რეალიზების გზები, ურთიერთობები რუსეთთან და ნაბიჯები ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. კვლევის ამ ნაწილში შეჯამებულია ექსპერტთა მიერ საქართველოს 30 წლიანი განვითარების გზაზე საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების შეფასებები. შეფასებები შეეხება როგორც ცალკეულ მოვლენებს, ასევე, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ზოგად მიმართულებებს ათწლეულების ჭრილში.

4.1. წყალგამყოფი მოვლენების შეფასება

წინამდებარე შეჯამებიდან იკვეთება, რომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით ექსპერტები ცალსახად წარმატებად აფასებენ, მაშინ, როდესაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად, უკან გადადგმულ ნაბიჯებად არის შეფასებული (დიაგრამა 10). აღსანიშნავია, რომ ეს ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია სამივე ათწლეულში.

ყველაზე დიდ წარმატებად ექსპერტებისთვის წარმოდგენილი მოვლენებიდან შეფასებულია 2017 წლის გაზაფხულზე ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის ამოქმედება. 1-დან 10-მდე სკალაზე, სადაც 1 წარუმატებლობას, ხოლო 10 წარმატებას აღნიშნავს, ექსპერტთა მიერ ამ მოვლენის შეფასების საშუალო მაჩვენებელია 9.8. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის სტანდარტული გადახრა ძალიან მცირეა (0.54), რაც მიანიშნებს ექსპერტების ერთსულოვნებაზე ამ შეფასებაში. ასევე, ყველაზე წარმატებულ მოვლენათა შორის მოექცა 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, საშუალო მაჩვენებლით 9.5. საგულისხმოა, რომ ექსპერტთა აზრით, უკვე 1990-იან წლებში გადაიდგა წარმატებული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის კუთხით. ერთხმად წარმა-

ტებად არის შეფასებული 1999 წელს საქართველოს ევროპის საბ-ჭოში გაწევრიანება, საშუალო მაჩვენებლით 9.6 და საქართველოს სა-ხელმწიფოს საერთაშორისო აღიარების პროცესი, რომელსაც ექსპერ-ტები საშუალოდ 9.5 ქულით აფასებენ. გარდა ამისა, ექსპერტებს სა-გარეო პოლიტიკის კუთხით დიდ წარმატებად მიაჩნიათ საქართვე-ლოს ჩართვა სატრანზიტო პროექტებში, როგორიც არის მაგალითად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰ-დენიზის გაზსადენი და სხვა (საშუალო ქულა 9.4).

როგორც დიაგრამა 10 აჩვენებს, ექსპერტებს, ზოგადად, გამარ-თლებულად მიაჩნიათ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურ-სი. ამას ადასტურებს, მაგალითად, ის, რომ წარმატებად აფასებენ ერთის მხრივ, 2000-იანი წლების მეორე ნახევარში დასავლური ორიენტაციის კიდევ უფრო მკვეთრად გამოცხადებას (საშუალო ქულით 9.1), რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანას (საშუ-ალო ქულა 9.1) და 2008 წელს საქართველოს დამოუკიდებელ სა-ხელმწიფოთა თანამეგობრობიდან (დსთ) გამოსვლას (საშუალო ქულა 8.9), ხოლო მეორეს მხრივ, 1993 წელს საქართველოს დსთ-ში შესვლას ერთხმად აფასებენ უკან გადადგმულ ნაბიჯად (საშუალო ქულა 2.6). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეფასებების მი-უხედავად, 2006 წლიდან რუსეთთან გართულებული ურთიერთო-ბები ექსპერტთა მიერ მიჩნეულია საგარეო პოლიტიკის კუთხით წა-რუმატებელ მოვლენად და შეფასებულია საშუალოდ 4.2 ქულით. ამ პერიოდში რუსეთთან ურთიერთობების გართულება მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის საქართველოს მთავრობის მიერ რუ-სეთის სასარგებლოდ მოქმედი აგენტურული ქსელის აღმოჩენა (Civil.ge 2006), რუსეთიდან ქართველთა დეპორტაცია და რუსეთის მიერ დაწესებულ სავაჭრო ემბარგო (Civil.ge 2019). მართალია მცირე-დი აზრთა სხვადასხვაობა ფიქსირდება ამ საკითხის შეფასებებში (სტანდარტული გადახრა 1.84), მაგრამ საერთო ჯამში ეს მოვლენა უკან გადადგმულ ნაბიჯად არის შეფასებული.

დიაგრამა 10: *უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა - მოვლენათა შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა მოვლენები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით).

მოვლენა, რომელიც საგარეო პოლიტიკის კუთხით ყველაზე მეტ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ექსპერტთა შეფასებებში, არის 2008 წლის ბუქარესტის სამიტი და მისი შედეგი საქართველოსთვის (საშუალო ქულა 7; სტანდარტული გადახრა 2.16). აღნიშნულ სამიტზე, ქართულ მხარეს მოლოდინი ჰქონდა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისგან გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (ე.წ. MAP) მიიღებდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სანაცვლოდ, ალიანსმა დააფიქსირა გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი“ (საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2008). ამ გადაწყვეტილებით ალიანსის წევრებმა აიღეს ღია ვალდებულება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-

გვერდი NDs). სავარაუდოა, რომ სწორად ამ გარემოებამ გამოიწვია ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა, რადგან საკამათოდ რჩება საკითხი იმის შესახებ, MAP-ის ვერ მიღება უფრო წარუმატებლობა იყო, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება უფრო წარმატება იყო.

რაც შეეხება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, წარდგენილი კითხვარის საფუძველზე ექპერტებმა შეაფასეს ისეთი წყალგამყოფი მოვლენები ამ მიმართულებით, როგორიც არის 1990-იანი წლების თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, ამავე ათწლეულში პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტები, 2004 წელს აჭარის კრიზისის გადაწყვეტა და ამავე წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გართულებული მდგომარეობა, 2008 წლის ომი და უკანასკნელი ათწლეულისთვის დამახასითებელი ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. აღნიშნული საკითხებიდან, აჭარის კრიზისის გადაწყვეტა ერთადერთია, რომელსაც ექსპერტები წარმატებად, საშუალოდ 8.7 ქულით აფასებენ. ყველა დანარჩენი მოვლენა, ექსპერტების მიერ უკიდურეს წარუმატებლობად არის შეფასებული და არცერთის შეფასება არ სცდება საშუალოდ 3 ქულას. ყველაზე დაბალი შეფასება - საშუალოდ 1.2 ქულა - ექსპერტებმა თბილისის ომსა და სამოქალაქო დაპირისპირებას მიანიჭეს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ შეფასებაში ექსპერტებში მინიმალური აზრთა სხვადასხვაობაა (სტანდარტული გადახრა 0.39). შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებისგან განსხვავებით, უსაფრთხოების საკითხები, ზოგადად, შეფასებულია როგორც უკან გადადგმული ნაბიჯები.

4.2. უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულების შეფასება ათწლეულების მიხედვით

ათწლეულების მიხედვით უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების დინამიკა ექსპერტებმა სამი მიმართულებით

შეაფასეს - ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, რუსეთთან მიმართებაში და სეპარატისტული რეგიონების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით (დიაგრამა 11). კონკრეტული მოვლენების შეფასების მსგავსად, აქაც იკვეთება, რომ ზოგადად ევროატლანტიკური ინტეგრაცია უფრო წარმატებად ფასდება ყველა ათწლეულში, ვიდრე წარუმატებლობად. ამ თვალსაზრისით, ყველაზე წარმატებულად ექსპერტები 2000-იან წლებს მიიჩნევენ (საშუალოდ 8.2 ქულა) და ამ შეფასებაში შედარებით ერთსულოვანნი არიან (სტანდარტული გადახრა 1.2). 1990-იან წლებში ეს შეფასება სხვა ათწლეულებთან შედარებით, ყველაზე დაბალი - საშუალოდ 5.9 ქულაა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს შორის ფიქსირდება დიდი აზრთა სხვადასხვაობა სტანდარტული გადახრით 2.24. ამ აზრთა სხვადასხვაობის განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება ვეძებოთ იმ გარემოებაში, რომ ერთის მხრივ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველომ ქმედითი ნაბიჯები გადადგა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი NDბ). თუმცა, მეორეს მხრივ, ქვეყნის დამოკიდებულება რუსეთზე ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო. 2010 წლიდან, ექსპერტთა შეფასებით, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით მცირედი გაუარესება შეინიშნება 2000-იან წლებთან შედარებით. თუმცა, სხვაობა იმდენად მცირეა, რომ ამასთან დაკავშირებით არსებითი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

დიაგრამა 11: *უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა - ათწლეულების შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა საკითხები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ ათწლეულში 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ათწლეულში).

რუსეთის მიმართ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკას ექსპერტები არაერთგვაროვნად აფასებენ. ამ შეფასებებიდან ჩანს, რომ ეს საკითხი არცერთ ათწლეულში არ ფასდება არც ცალსახა წარმატებად და არც ცალსახა წარუმატებლობად. ათწლეულების შეფასებაში ამ თვალსაზრისით მხოლოდ მცირედი სხვაობა იკვეთება. 1990-იან წლებში ექსპერტთა საშუალო შეფასება ამ მიმართულებით 4.2 ქულაა, 2000-იან წლებში საშუალოდ 5.0 ქულა, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში - 4.4 ქულა. შედარებით დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ექსპერტებში რუსეთთან მიმართებაში 2001-2010 წლებში საქართველოს მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასებებმა, სტანდარტული გადახრით 2.12. აღნიშნულ პერიოდში რუსეთთან

მიმართებაში ორგვარი განვითარება გამოიკვეთა. ერთის მხრივ, საქართველომ პროგრესს მიაღწია რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევის თვალსაზრისით, რაც სხვა მოვლენებთან ერთად, ყველაზე თვალნათლივ რეალიზდა 2008 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლითა და ქვეყნიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესის დასრულებით. მეორეს მხრივ, მკვეთრად გაუარესდა რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობები, რაც 2008 წელს ორ ქვეყანას შორის შეიარაღებული დაპირისპირებითა და რუსეთის მხრიდან სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით დამთავრდა. სავარაუდოა, რომ მოვლენათა განვითარების სწორად ეს ორგვაროვნება უდევს საფუძვლად ექსპერტთა შეფასებებში გამოკვეთილ აზრთა სხვადასხვაობას.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან სეპარატისტულ რეგიონების მიმართ გატარებულ პოლიტიკას, 1990-იან წლებში ამ საკითხს ექსპერტები ცალსახად წარუმატებლობად აფასებენ (საშუალოდ 3 ქულა), რაც ამ პერიოდში კონფლიქტების უკიდურესად გამწვავებას უნდა უკავშირდებოდეს. მცირედით, მაგრამ უმჯობესდება მდგომარეობა ამ მიმართულებით 2001-2010 და 2011-2020 წლებში. აღნიშნულ პერიოდს ექსპერტები საშუალოდ 4.1 ქულით აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებებში შესამჩნევია აზრთა სხვადასხვაობა სამივე ათწლეულთან მიმართებაში (სტანდარტული გადახრის მაჩვენებლების გადანაწილება: 1990-2000 წლებში: 1.98; 2001-2010 წლებში: 2.30; 2011-2020 წლებში: 2.23), აღნიშნული საკითხი წარუმატებლობისკენ უფრო იხრება, ვიდრე წარმატებისკენ. თუმცა, შეიმჩნევა პროგრესი 1990-იან წლებთან შედარებით.

5. სოციალურ-ეკონომიკური საკითხები

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მდგრადობა დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა. ანგარიშში სოციალურ-ეკონომიკური სფერო ფართო მნიშვნელობითაა გაგებული და მოიცავს იმ მოვლენებსა და საკითხებს, რომლებმაც ქვეყნაში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონია.

5.1. სამი მნიშვნელოვანი რეფორმა სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით

ფოკუს ჯგუფების შედეგად სამი აღსანიშნავი მოვლენა გამოვლინდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ექსპერტებმა სამივე საკითხი - განათლების რეფორმა 2000-იანი წლების შუა პერიოდში, ვარდების რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური რეფორმები და დერეგულაციის პოლიტიკა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება 2013 წელს - უფრო მიღწევად შეაფასეს, ვიდრე წარუმატებლობად (დიაგრამა 12).

განათლების რეფორმა ექსპერტებმა საშუალოდ 7.4 ქულით შეაფასეს, თუმცა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაც დაფიქსირდა (სტანდარტული გადახრა 1.7). ეს ნიშნავს, რომ განათლების რეფორმა, რომელიც 2000-იანი წლების შუა პერიოდში განხორციელდა, არ არის ცალსახად წარმატება, თუმცა არც წარუმატებლობად უნდა შეფასდეს. სხვადასხვა მოსაზრებით, განათლების სისტემის ამ რეფორმამ წარმატებით მოახერხა კორუფციის აღმოფხვრა, რაც მისაღები გამოცდების შემთხვევაში იყო მანამდე დამკვიდრებული, თუმცა, მეორე მხრივ, შედეგად სისტემური გაუმჯობესება არ მოჰყოლია (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2010).

დიაგრამა 12: *სოციალურ-ეკონომიკური საკითხები - მოვლენათა შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა მოვლენები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით).

საშუალოდ 7.3 ქულით, უფრო წარმატებად (ვიდრე წარუმატებლობად) არის შეფასებული ვარდების რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური რეფორმები და დერეგულაციის პოლიტიკა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებითაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა (სტანდარტული გადახრა - 1.81). ვარდების რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური რეფორმების პარალელურად ქვეყნის მთლიანმა შიდა პროდუქტმა სწრაფად ზრდა დაიწყო და საერთაშორისო რეიტინგებშიც საკმაოდ დაწინაურდა (World Bank 2020). თუმცა, ზოგიერთი მოსაზრებით, 2000-იანი წლების შუა პერიოდის ეკონომიკური რეფორმები არაეფექტური იყო და, პირიქით, ხელსაც უშლიდა დემოკრატიულ განვითარებას (Jones 2019).

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედება ექსპერტებმა 7.2 ქულით შეაფასეს, რაც ზემოხსენებული საკითხების მსგავსად, ნიშნავს, რომ ეს პროგრამა უფრო წარმატებად უნდა შეფასდეს, ვიდრე წარუმატებლობად. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 2013 წელს ამოქმედდა, რომლის შედეგადაც მოსახლეობის ფართო სპექტრი აღმოჩნდა დაზღვეული. ასევე, პროგრამის დადებით მხარედ იყო მიჩნეული ისიც, რომ მოიცავდა პრევენციულ ღონისძიებებს, დეტალურად იყო გაწერილი მომსახურების პირობები და ბენეფიციარებს თავად შეეძლოთ სამედიცინო დაწესებულების არჩევა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2013). თუმცა, პროგრამას არც კრიტიკოსები აკლდა, რომელთა მიხედვითაც არა დიფერენცირებული მიდგომის გამო ეს პროგრამა ზედმეტად დიდ ტვირთად დააწვა ბიუჯეტს და დეფიციტური აღმოჩნდა (შამუგია 2020).

5.2. ტენდენციები დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ტენდეციების შეფასებებში იკვეთება, რომ 1991-2000 წლებში არსებული ცალსახად არასახარბიელო მდგომარეობა, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, შედარებით გაუმჯობესდა (დიაგრამა 13). თუმცა, პროგრესის მიუხედავად, რიგი საკითხებისა კვლავ გადაუჭრელი რჩება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, რეგრესიც შეინიშნება ბოლო პერიოდში.

ექსპერტებმა წარმატებად შეაფასეს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ექსპერტებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების როლმა 1990-იან წლებში (საშუალო შეფასება 5.6, სტანდარტული გადახრა 2.07). თუმცა, 2001-2010 და 2011-2020 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება უფრო მიღწევად არის შეფასებული, ვიდრე წარუმატებლობად.

დიაგრამა 13: *სოციალურ-ეკონომიკური საკითხები - ათწლეულების შეფასება*



შენიშვნა: ექსპერტებმა საკითხები 1-10 სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავს სრულ წარუმატებლობას, ხოლო 10 - მიღწევას. დიაგრამაზე მოცემულია თითოეულ ათწლეულში 44 ექსპერტის შეფასებების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა (რაც უფრო დიდია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაკავშირებით შესაბამის ათწლეულში).

1990-იან წლებთან შედარებით, მომდევნო ორ ათწლეულში პროგრესია საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ექსპერტებმა 2001-2010 და 2011-2020 წლებში შესაბამისად 6.7 და 6.3 საშუალო ქულებით შეაფასეს, რაც მართალია, არ ნიშნავს ცალსახა მიღწევას, თუმცა უფრო წარმატებად მიიჩნევა, ვიდრე წარუმატებლობად.

მსგავს ტენდენციაზე მეტყველებს სხვა საერთაშორისო ინდექსებიც. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მი-

ხედვით, რომელიც ქვეყნებში კანონის უზენაესობას, მთავრობის ზომას, რეგულაციების ეფექტიანობას და ბაზრის ღიაობას ზომავს, საქართველოს ეკონომიკა, დროთა განმავლობაში, უფრო თავისუფალი ხდება (დიაგრამა 14).

თვალსაჩინო პროგრესი შეინიშნება 2001-2010 წლებში, წინა ათწლეულთან შედარებით, ორგანიზებულ დანაშაულთან და კრიმინალთან ბრძოლის თვალსაზრისით. ექსპერტების შეფასებით მეორე ათწლეულში ხელისუფლების მიერ დანაშაულთან ბრძოლა ცალსახად მიღწევად უნდა მივიჩნიოთ (საშუალო ქულა 7.9). რაც შეეხება უკანასკნელ ათწლეულს, 2001-2010 წლებთან შედარებით, მდგომარეობა, როგორც ჩანს, გაუარესებულია - ექსპერტებმა საშუალოდ 5.0 ქულით შეაფასეს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ დანაშაულთან და კრიმინალთან ბრძოლა 2011-2020 წლებში.

დიაგრამა 14: *საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 1996-2021 წწ.*



შენიშვნა: დიაგრამაზე მოცემულია 1996 წლიდან 2021 წლამდე საქართველო წლიური ქულა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში. ინდექსი 0-დან 100-მდე იზომება, სადაც 0 ნიშნავს ყველაზე ნაკლებად თავისუფალს, ხოლო 100 - ყველაზე მეტად თავისუფალს.

წყარო: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. The Heritage Foundation. ხელმისაწვდომია: https://www.heritage.org/index/visualize

ასევე, პირველი ათწლეულის შემდგომ მდგომარეობა, შედარებით გაუმჯობესდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, დევნილების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკისა და სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით. თუმცა, შედარებითი პროგრესის მიუხედავად, ხსენებული საკითხები მაინც ვერ ჩაითვლება წარმატებად. 2001-2010 და 2011-2020 წლებში ექსპერტებმა საშუალოდ 6-ზე ნაკლები საშუალო ქულით შეაფსეს სამივე ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი.

ბოლოს აღსანიშნავია, რომ სამივე ათწლეულში წარუმატებლობად არის შეფასებული ქვეყნიდან ადამიანური რესურსის გადინება. ექსპერტების მიხედვით, 1991-2000 წლები განსაკუთრებით უარყოფითად არის შეფასებული ქვეყნიდან მოსახლეობის გადინების თვალსაზრისით (საშუალო ქულა 2.1). თუმცა, არც მომდევნო პერიოდებში არის დიდად განსხვავებული ექსპერტთა მოსაზრება: 2001-2010 და 2011-2020 პერიოდები ექსპერტებმა საშუალოდ 3.8 და 3.2 ქულით შეაფასეს შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად იკლებს. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 1994 წელს საქართველოს მოსახლეობა თითქმის 5 მილიონი იყო (4.9 მილიონი), 2001 წელს ეს მონაცემი თითქმის ერთი მილიონით შემცირდა (4 მილიონი), ხოლო 2011 წელს 3.8 მილიონამდე ჩამოვიდა (საქსტატი 2021). ისიც აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ათწლეულში მოსახლეობის კლების ტემპი შემცირდა და 2020 წელს, საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონ ადამიანს შეადგენს.

30-წლიანი დამოუკიდებლობა: პროგრესი და გამოწვევები

დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა განვლილი სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური მოვლენებისა და პროცესების გამოკვეთას და იმის განსაზღვრას, თუ რა დინამიკა შეინიშნება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც ცალსახად წარმატებად უნდა ჩაითვალოს დემოკრატიზაციისა და სახელმწიფო მშენებლობის გზაზე, თუმცა მრავლად არის ისეთი სფეროებიც, სადაც 1990-იან წლებთან შედარებით პროგრესის მიუხედავად, კვლავ მწვავე პრობლემებია. ასევე, არის რიგი საკითხებისა და მიმართულებებისა, სადაც პროგრესი დროის გასვლასთან ერთად საერთოდ არ შეინიშნება. საქართველოს დემოკრატიზაციისა და სახელმწიფო მშენებლობის გზაზე ცალსახად წარმატებაა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ასევე, უფრო წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე წარუმატებლობად მედიის დამოუკიდებლობა, პლურალისტული მედია გარემო და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა საკითხების ნაწილი, რომლებთან მიმართებაშიც ექსპერტები ხედავენ ერთგვარ პროგრესს 30 წლიანი განვითარების გზაზე, თუმცა, თვლიან, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაა ქვეყანაში. ასეთ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები. შედარებით პროგრესი შეიმჩნევა, ასევე, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის მექანიზმების განვითარების კუთხით, თუმცა ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი აქვს ამ

მიმართულებით გასაკეთებელი. ათწლეულების განმავლობაში გაუმჯობესებულია ზოგადი სურათი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით ეს შეეხება ხელისუფლების მიერ სიტყვის, გამოხატვისა და შეკრების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფას. თუმცა, დღეის მდგომარეობით, ექსპერტები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს ცალსახა წარმატებად არ აფასებენ, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების საჭიროებაზე. მსგავსი დინამიკა შეინიშნება, ასევე, კორუფციის ხარისხთან დაკავშირებით. მკვეთრი პროგრესი იკვეთება 1990-იან წლებთან შედარებით. თუმცა, ბოლო წლებში, ექსპერტთა შეფასებით, ტენდენცია გაუარესებისკენ მიდის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 30 წლის შემდეგაც კორუფციის ხარისხის თვალსაზრისით პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს. აღნიშნული ხასიათის საკითხები, ასევე, იკვეთება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხითაც. ექსპერტთა შეფასებით, საკმაოდ დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ორგანიზებულ დანაშაულთან და კრიმინალთან ბრძოლის თვალსაზრისით 2000-იან წლებში, მაგრამ, რამდენადაც ამ მიმართულებით, ბოლო წლებში გაუარესდა გარემო, დღეის მდგომარეობით ვერ ჩაითვლება, რომ ქვეყანამ წარმატებულად მოახერხა ამ პრობლემასთან გამკლავება. 1990-იან წლებთან შედარებით, ბოლო ორ ათწლეულში მკვეთრად არის გაუმჯობესებული მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და დევნილებთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის თვალსაზრისით, ისევე, როგორც სიღარიბისა და ეკონომიკური გამოწვევები საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯების თვალსაზრისით. თუმცა, სამივე ამ საკითხს ექსპერტები ჯერ კიდევ უფრო წარუმატებლობად აფასებენ, ვიდრე წარმატებად, რაც, თავისთავად, მიანიშნებს, რომ ეს საკითხები სახელწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიზაციის გზაზე ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ექსპერტთა შეფასებების მიხედვით, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგ, სიტუაცია კვლავ პრობლემურია და პროგრესი ნაკლებად შეინიშნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა მმართველი პარტიის და სახელმწიფოს გამიჯვნა, ადმინისტრაციული რესურსის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და ურთიერთდაბალანსების პრინციპი. მეტიც, დროის გასვლასთან ერთად, მცირე უკუსვლაც შეინიშნება სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის თვალსაზრისით. ასევე, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველო ვერ ახერხებს ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებით და ვერც წარმატებულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს რუსეთთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით წარატებულად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო პოლიტიკის სფერო, მიუხედავად რუსეთთან მიმართებით წარმატებული პოლიტიკის არარსებობისა. ასევე, მეტ-ნაკლები წარმატებები იყო სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობისთვის თვალსაზრისითაც, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული არასახარბიელო ტენდენციები შეინიშნება ბოლო პერიოდში, მაგალითად, სახელმწიფო ინსტიტუციებზე არაფორმალური კონტროლის ნიშნების გაჩენის და კორუფციის ზრდის თვალსაზრისით. გარკვეული პროგრესი შეინიშნება დემოკრატიული განვითარების მხრივაც, თუმცა არაერთი მწვავე პრობლემაც რჩება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია პლურალისტული მედია გარემო, აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, (არასაკმარისი, მაგრამ მაინც) პროგრესი ადამიანის უფლებებისა და თავისუფალი არჩევნების თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ, სიტუაცია დროის გასვლასთან ერთად არ უმჯობესდება ისეთ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სასამართლოს დამოუკი-

დებლობა, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და ურთიერთდაბალანსების პრინციპი. დაბოლოს, ყველაზე ნაკლებად წარმატებული სფეროებია უსაფრთხოება და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, ისეთ პრობლემებთან უწევს გამკლავება, როგორიცაა რუსეთის სამხედრო ბაზები მის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე, მცოცავი ოკუპაცია და ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი და ა.შ. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, საქართველოს მოსახლეობა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მუდმივად იკლებს და ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

წინამდებარე კვლევას, ისევე როგორც ნებისმიერ ემპირიულ კვლევას, გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები. უმთავრესი ასეთი ნაკლოვანება არის ის, რომ იგი ეფუძნება მხოლოდ შერჩეული მოვლენებისა და პროცესების შეფასებებს. ცხადია, იმ მოვლენებისა და პროცესების რაოდენობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლიანი პერიოდის მანძილზე, სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და დემოკრატიზაციის პროცესს განსაზღვრავდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მათი სრულად დაფარვა ერთი კვლევის ფარგებში შეუძლებელია. გარდა ამისა, ეს მოვლენები და პროცესები ვითარდება აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე, რაც რთულს ხდის მათ შედარებას ერთმანეთთან. კვლევაში შესული მოვლენებისა და პროცესების შერჩევა მაქსიმალური სიფრთხილით განხორციელდა მათი იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული ფოკუს ჯგუფსა და ავტორთა ექსპერტიზაზე დაყრდნობით. ამის მიუხედავად, შესაძლოა, რომ კვლევაში ვერ მოხვდა რიგი ისეთი მოვლენებისა ან ზოგადი საკითხებისა, რომლებიც პოტენციურად განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და დემოკრატიზაციის ბუნებასა და დინამიკას. გარდა ამისა, კვლევა ეფუძნება

მიზნობრივად შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფის გამოკითხვას, რაც პოტენციურად ზრდის სუბიექტური შეფასების ხარისხს. ეს კი თავისთავად პრობლემური საკითხია კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში. თუმცა, წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზნობრივად შერჩეული ექსპერტთა გამოკითხვა ყველაზე გამართლებულ მეთოდად იქნა მიჩნეული.

გამოყენებული წყაროები

Amnesty International. 2017. "What is the Universal Declaration of Human Rights?", ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org.uk/universal-declaration-human-rights-UDHR

Civil.ge. 2003. "შევარდნაძე ნანობს, რომ საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდა", ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/130205

Civil.ge. 2006. "შსს "აგენტურული ქსელის" წინააღმდეგ "მტკიცებულების ნაწილს" აქვეყნებს", ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/139148

Civil.ge. 2017. "მმართველმა გუნდმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია". ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=31665

Civil.ge 2019. "სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს 2006 წელს ქართველების დეპორტაციის გამო 10 მლნ ევროს გადახდა დააკისრა", ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/275346

Dahl, Robert A. 2003. *How Democratic Is the American Constitution?* Yale University Press.

Dahl, Robert Alan. 1971. *Polyarchy: Participation and Opposition*. Yale University Press.

Hellman, Joel S. 1998. "Winners Take All: The Politics of Partial Reform in Postcommunist Transitions." *World Politics* 50 (2): 203–34.

Jessop, Bob. 2006. "Thr State and State-Building." In *The Oxford Handbook of Political Institutions*, Sarah A. Binder, R. A. W. Rhodes, and Bert A. Rockman. Oxford: Oxford University Press.

Jones, Stephen F. 2019. "Kakha Bendukidze and Georgia's Failed Experiment." *Open Democracy*, 2019.

NDI საქართველო. 2020. „ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ", ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202%202020%20-%20GEO%20-%20FINAL_0.pdf

Reynolds, Andrew, Ben Reilly, and Andrew Ellis. 2008. *Electoral System Design: The New International IDEA Handbook*. Sweden: International Institute for Democracy and Electoral Assistance. https://www.idea.int/sites/default/files/publications/electoral-system-design-the-new-international-idea-handbook.pdf.

Rose, Richard. 2006. "Democratic and Undemocratic States." In *Democratization*, Christian Haerpfer, Patrick Bernhagen, Ronald F Inglehart, and Christian Welzel. New York: Oxford University Press.

Welzel, Christian. 2009. "Theories of Democratization." In *Democratization*, Christian Haerpfer, Patrick Bernhagen, Ronald F Inglehart, and Christian Welzel, 74–90. New York: Oxford University Press.

World Bank. 2020. "Ease of doing business in Georgia", ხელმისაწვდომია: https://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia

ნოდია, გია და დავით აფრასიძე. 2013. *სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე - საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2010. „მიეცეს თავისუფლება საქართველოს სკოლებს?", ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/content/stub-91

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2013. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა: პრობლემები და რეკომენდაციები", ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/blog/saqoveltao-janmrtelobis-datsvis-sakhelmtsipo-programa-problemebi-da-rekomendatsiebi

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2014. „ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები", ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2020. „საქართველოს მედიაგამორე 2016-2020 წლებში", ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-mediagaremo-2016-2020-clebshi

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესაახებ. 2008. „ბუქარესტის სამიტი“, ხელმისაწვდომია: http://old.infocenter.gov.ge/78-buqarestis-samiti.html

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 2016. „1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შესახებ“, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/media/gamofena-parlamentshi/gamofena-referendumidan-damoukideblobamde/1991-wlis-31-martis-referendumis-shesaxeb.htm

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. NDა. „მნიშნველოვანი მოვლენების ქრონოლოგია“, ხელმისაწვდომია: http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. NDბ. „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია“, ხელმისაწვდომია: ბმული.

საქსტატი. 2021. „მოსახლეობის რიცხოვნობა“, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

სლეიდი, გავინ, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლელა ცისკარიშვილი, ნიკა ჯეირანაშვილი და ნინო გობრონიძე. 2014. *დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები.* თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. 2019. „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას“, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/saqartvelos-samoqalaqo-sazogadoebis-organizaciebis-mimartva-saertashoriso-tanamegobrobas/

შამუგია, ეგნატე. 2020. “საყოველთაო ჯანდაცვის მორალური რისკი.” *Forbes Georgia*, 2020. ხელმისაწვდომია: https://forbes.ge/saqhovelthao-jandatsvis-mor/.

ცესკო. 2008. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი“, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/geo/list/show/1167-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-

Givi Silagadze, Nino Abzianidze

The 30 Years of Georgia's Independence: Achievements and Failures on the Way of Democratization and State Building

Abstract

The study highlights and analyses important developments of political and social processes in Georgia during the 30 years of state independence of the country. It sets the dynamics of the democratization and state-building process of Georgia. As a result of the conducted focus group and survey of 44 experts, the foreign policy and building of state institutions could be considered as the most successful realms of political life; nevertheless, there are some regressions in the latter during the last years. There is some progress in democratic development, although accompanied with some notable problems. For example, there is a low phase of improvement in the following key sectors: independence of the court, supremacy of law, balance between the branches of the government and the existence of counter-balancing between them. Security and social-economic sectors are the least successful spheres of the country.

Key Words: Georgia; Achievements and Failures; Democratic Development; State Building.